
აგერიკის საგარეო კოლოტიკა

არჩევნის დინამიკა 21-ე საუკუნეში

ბრუს ჯენტლესონი

დიუკის უნივერსიტეტი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი – 2015 წელი

ამერიკის საგარეო პოლიტიკა ბრუს ჯენტლესონი

FUNDED THROUGH THE BOOK TRANSLATION PROGRAM,
U.S. EMBASSY IN GEORGIA

დაფინანსებულია საგარეო ურთიერთობების აშშ-ს საელჩოს
ნიმუშების თარგმნის პროგრამის ფარგლებში

მთარგმნელები:

**დავით აფრასიძე, ანა მიქაუტაძე, არჩილ აბაშიძე, გიორგი გვალია, ნინო ტიკარაძე
ტარიელ სინარულიძე, თამარ ქუმსიაშვილი, ნინო ფავლენიშვილი**

სამეცნიერო რედაქტორები:

დავით აფრასიძე, გიორგი გვალია

ტექსტის რედაქტორები:

ნატა ვაჩიშვილი, თეა ქიტოშვილი

დამკაბადონებელი:

ქეთევან გოგავა

Copyright © 2014, 2010, 2007, 2004, 2000 by
W.W. Norton & Company, Inc. All rights reserved

ISBN 978-9941-18-236-5

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

მეხუთე გამოცემის წინასიტყვაობა.....	xv
ნაწილი I. აგმ-ს საგარეო პოლიტიკის კონტექსტი: თეორია და ისტორია.....	1
თავი 1. სტრატეგიული კონტექსტი: საგარეო პოლიტიკის სტრატეგია და არჩევნის არსი.....	2
შესავალი: საგარეო პოლიტიკა ტრანზიციის დროს.....	2
საერთაშორისო სისტემის კონტექსტი.....	7
კვაზი ანარქია.....	8
სისტემის სტრუქტურა.....	8
ეროვნული ინტერესები: ოთხეულის ჩარჩო.....	9
ძალა.....	11
მშვიდობა.....	14
კეთილდღეობა.....	17
პრინციპები.....	19
საგარეო პოლიტიკის არჩევნის დილემები:.....	21
მიზნების თავსებადობა, კომპრომისი და უთანხმოება.....	21
მიზნების თავსებადობა: ოპტიმალური, მაგრამ იშვიათი.....	21
მიზნებს შორის კომპრომისი: უფრო ხშირი, უფრო პრობლემატური.....	23
მიზნებს შორის უთანხმოება: მწვავე კონფლიქტები.....	26
შეჯამება.....	27
შენიშვნები.....	28
თავი 2. საშინაო პოლიტიკის კონტექსტი: ხელისუფლების სამი შტო და არჩევნის პროცესი.....	31
შესავალი: „წყლის პირის“ შესახებ მითის გაფანტვა.....	31
პრეზიდენტი, კონგრესი და „პენსილვანია ავენიუს დიპლომატია“.....	34
პრეზიდენტ-კონგრესის ურთიერთობების თეორიები.....	34
საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლებამოსილება.....	37
ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო ვალდებულებები.....	39
საგარეო პოლიტიკის თანამდებობის პირების დანიშვნები.....	43
„სავაჭრო ურთიერთობები უცხო ქვეყნებთან“.....	45
ზოგადი ძალაუფლებანი.....	47
უზენაესი სასამართლო, როგორც მედიატორი?.....	51
პოლიტიკური პროცესი აღმასრულებელ შტოში.....	53
პრეზიდენტები, როგორც საგარეო პოლიტიკური ლიდერები.....	54
უფროსი საგარეო პოლიტიკური მრჩეველები და ბიუროკრატიული პოლიტიკა.....	57
ბიუროკრატიული პოლიტიკა და ორგანიზაციული დინამიკა.....	58
სავაჭრო პოლიტიკა და აღმასრულებელი შტო.....	61
შეჯამება.....	63
შენიშვნები.....	63

თავი 3. საშინაო კონტაქსტი: ინტერნეტა ჯგუფები, მედია და საზოგადოებრივი აზრი	66
შესავალი: საზოგადოებრივი აქტორები და არჩევნის პროცესი	66
ინტერნეტა ჯგუფები და მათი გავლენა	66
საგარეო პოლიტიკის ინტერნეტა ჯგუფების ტიპოლოგია	67
გავლენის სტრატეგიები და ხერხები	73
ინტერნეტა ჯგუფების გავლენის საზღვრები: ანალიტიკური და ნორმატიული მსჯელობა	76
საინფორმაციო საშუალებების გავლენა	79
მედიის როლი ისტორიულად: მხარდამჭერი თუ კრიტიკოსი?	79
გავლენის სახეები	82
პრესის თავისუფლება და ეროვნული უსაფრთხოება	86
რა არის საზოგადოებრივი აზრი და როგორია მისი გავლენა?	90
უმეცარი თუ კეთილგონიერი? საგარეო პოლიტიკის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის ბუნება	90
საზოგადოებრივი აზრის გავლენა საგარეო პოლიტიკაზე	96
საგარეო პოლიტიკა და საპრეზიდენტო არჩევნები	98
შეჯამება	99
შენიშვნები	101
თავი 4. ისტორიული კონტაქსტი: ამერიკის საგარეო პოლიტიკის დიდი დებატები, 1789-1945	105
შესავალი: წარსული – ეს პროლოგია	105
მოკლე ისტორიული ქრონოლოგია	106
რევოლუცია და დამოუკიდებლობის კონსოლიდაცია, 1776-1800	106
ექსპანსიონიზმი და პრეზერვაცია, 1801-1865	107
გლობალურ არენაზე გამოსვლა, 1865-1919	109
დაბრუნება იზოლაციონიზმში, 1919-1941	111
მეორე მსოფლიო ომი, 1941-1945	114
დიდი დებატები საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შესახებ	116
იზოლაციონიზმი და ინტერნაციონალიზმი	116
ძალა და მშვიდობა: რამხელა უნდა იყოს არმია და რამდენი დავხარჯოთ თავდაცვაზე?	122
პრინციპები: ამერიკული დემოკრატიის იდეალების ერთგულება?	125
კეთილდღეობა: შეერთებული შტატების იმპერიალიზმი?	130
საკვანძო შემთხვევები: შეერთებული შტატების ურთიერთობა ლათინურ ამერიკასთან – კეთილი მეზობელი თუ რეგიონული ჰეგემონი?	134
საკვანძო შემთხვევები: შეერთებული შტატები, როგორც წყნაროკეანური ძალა	137
დიდი დებატები საგარეო პოლიტიკის პროცესზე	140
ომში ჩართვა	140
ეროვნული უსაფრთხოება და ბილი უფლებათა შესახებ	142
თავისუფალი ვაჭრობა და პროტექციონიზმი	146

შეჯამება	148
შენიშვნები.....	149
თავი 5. ცივი ომის კონტაქსტი: დასაწყისი და პირველი ეტაპი	152
შესავალი: „დასაბამის მოწმე“	152
მშვიდობა: საერთაშორისო ინსტიტუციონალიზმი	
და გაერთიანებული ერები	154
თავდაპირველი ხედვა გაერთიანებული ერების შესახებ.....	154
მოკრძალებული რეალობა.....	156
ძალა: ბირთვული დაშინება და შეკავება	159
ჩამოყალიბების პერიოდი, 1947-1950.....	162
ინტენსიფიკაცია, 1950-იანი წლები და 1960-იანი წლების დასაწყისი.....	167
პრინციპები: იდეოლოგიური ბიპოლარულობა	
და ABC მიდგომა მესამე სამყაროში.....	170
ABC დემოკრატიების მხარდაჭერა	171
ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საიდუმლო ოპერაციები	173
კეთილდღეობა: ლიბერალური საერთაშორისო	
ეკონომიკური წესრიგის შექმნა	174
ძირითადი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები	174
კრიტიკა: ეკონომიკური ჰეგემონია? ნეოიმპერიალიზმი?	175
საგარეო პოლიტიკის პროცესი და ცივი ომის კონსენსუსი	176
„პენსილვანია ავენიუს დიპლომატია“: ქურჩა ცალმხრივი მოძრაობით	176
აღმასრულებელი შტოს პოლიტიკა და	
„ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფოს“ შექმნა.....	180
ინტერესთა ჯგუფები, მედია და საზოგადოებრივი აზრი:	
კონსენსუსის სარგებელი და საფრთხეები.....	184
შეჯამება	189
შენიშვნები.....	189
თავი 6. ცივი ომის კონტაქსტი: გაკვეთილები და მემკვიდრეობა.....	194
შესავალი: მშფოთვარე ათწლეულები	194
ვიეტნამის ომი: დიდი რევრესი საგარეო პოლიტიკაში.....	195
საგარეო პოლიტიკის სტრატეგია: მარცხი ყველა ფრონტზე.....	197
საგარეო პოლიტიკის პროცესი: ცივი ომის კონსენსუსის კოლაფსი.....	202
დეტანტის აღზევება და დაცემა:	
ძირითადი საგარეო-პოლიტიკური ცვლილებები.....	206
ნიქსონი, კისინჯერი და დეტანტის აღზევება.....	206
დეტანტის ჩაყარდნის მიზეზები.....	214
1970-იანი წლების ეკონომიკური შოკები.....	218
ნიქსონის შოკი, 1971 წელი.....	219
ოპეკის შოკი, 1973 და 1979 წლები.....	220
ჩრდილოეთ-სამხრეთის კონფლიქტი და ახალი	
საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მოთხოვნა	221

ვაჭრობა იაპონიასა და დანარჩენ მსოფლიოსთან	224
რეიგანი, გორბაჩოვი და ცივი ომის დასასრული.....	226
„ოთხეული“ რეიგანის დროს	226
კონფრონტაციული საგარეო პოლიტიკური პროცესი	233
ცივი ომის დასასრული: რატომ დასრულდა ცივი ომი და რატომ დასრულდა იგი მშვიდობიანად?	237
შეჯამება	245
შენიშვნები.....	247
საპიტიხავი პირველი ნაწილისათვის აშშ-ს საგარეო პოლიტიკა: თეორია და ისტორია	251
1.1 ჯონ ჯ. მერშაიმერი. ძალა. რეალიზმი.....	252
1.2 რობერტ კიოჰინი. მშვიდობა. მმართველობა ნაწილობრივ გლობალიზებულ სამყაროში	258
1.3 გაბრიელ კოლკო. კეთილდღეობა. ამერიკის შეერთებული შტატები და მსოფლიო ეკონომიკური ძალა	264
1.4 ტონი სმიტი. პრინციპები. ამერიკის შეერთებული შტატები და საყოველთაო ბრძოლა დემოკრატიისთვის: ადრეული 1990-იანი წლების პერსპექტივა.....	269
2.1 ართურ შლეზინგერი უმცროსი. პრეზიდენტი, კონგრესი და ომის ძალაუფლება. რა ჰქონდათ განზრახული დამფუძნებელ მამებს.....	275
2.2 გრემ ელისონი. ბიუროკრატიული პოლიტიკა. კონცეპტუალური მოდელები და კუბის სარაკეტო კრიზისი	279
3.1 ჯონ ბირნი კუკი. მედია. პრესა ომის დროს.....	282
3.2 ოლე ჰოლსტი. საზოგადოებრივი აზრი. საზოგადოებრივი აზრი და საგარეო პოლიტიკა: აღმონდ-ლიპმანის კონსენსუსის გამოწვევები.....	285
4.1 ჰენრი კისინჯერი. იზოლაციონიზმი და ინტერნაციონალიზმი. ფრანკლინ დ. რუზველტი და მეორე მსოფლიო ომის დაწყება	296
4.2 უოლტერ ლაფიბერი. იმპერიალიზმი. ამერიკული „ახალი იმპერია“	306
5.1 ბერნარდ ბროდი. ბირთვული დაშინების დოქტრინა. სტრატეგია სარაკეტო ეპოქაში	315
5.2 მისტერ X (კენანი). შეკავების პოლიტიკის წყაროები. „საბჭოეთის ქცევის მიზეზების შესახებ“	322
6.1 ლესლი გელბი. ვიეტნამი. ვიეტნამი: სისტემამ იმუშავა	327
6.2 ჯონ ლუის გადისი. ცივი ომის დასასრული. მოულოდნელი რონალდ რეიგანი.....	332
6.3 მიხეილ გორბაჩოვი. ცივი ომის დასასრული. საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი	336

ნაწილი II აპრიკოს საგარეო პოლიტიკა	
 2I-ე საუკუნეში: არჩევანი და გამოწვევები	339
თავი 7. დიდი სტრატეგია ახალი ეპოქისათვის:	
(I) ძალა და მშვიდობა	340
შესავალი: 09/11 და 11/9 – დაცემული კედელი, დანგრეული კოშკები.....	340
უნილატერალიზმსა და მულტილატერალიზმს შორის დებატები	341
უნილატერალიზმი	341
მულტილატერალიზმი	347
რა დგას უნილატერალიზმი-მულტილატერალიზმის დებატის უკან.....	353
ძალა	357
სამხედრო ძალის გამოყენება.....	358
ბირთვული დაშინება	368
დაშინება ტერორიზმის წინააღმდეგ.....	370
თავდაცვის ბიუჯეტი და გლობალური სტრატეგია.....	371
კიბერუსაფრთხოება.....	374
მშვიდობა	375
გაერო.....	375
მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმი.....	379
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო.....	384
რეგიონული ორგანიზაციები.....	386
პრევენციული დიპლომატია.....	388
დასკვნა: ძალა, მშვიდობა, და ძლიერება შიგნიდან	390
შენიშვნები.....	391
თავი 8. დიდი სტრატეგია ახალი ეპოქისათვის:	
(II) კეთილდღეობა და პრინციპები	397
შესავალი: გლობალიზაციის მიღმა – დემოკრატიული საუკუნის ეიფორია	397
კეთილდღეობა	398
დისკუსია გლობალიზაციის ირგვლივ	398
საერთაშორისო ვაჭრობა	406
საერთაშორისო ფინანსები.....	412
საერთაშორისო განვითარება.....	415
გლობალური ჯანდაცვა	422
გლობალური გარემოს დაცვის საკითხები.....	426
პრინციპები	434
დემოკრატია მსოფლიოში: დღევანდლობა და პერსპექტივები.....	434
პრინციპები და მშვიდობა: დისკუსია დემოკრატიული მშვიდობის შესახებ.....	444
პრინციპები და ძალა: ABC-დან (ყველაფერი კომუნიზმის გარდა)	
ABT-მდე (ყველა ტერორისტების გარდა).....	449
პრინციპები, ძალა, მშვიდობა და კეთილდღეობა:	
გენოციდისა და მასობრივი დანაშაულების პრევენცია	451
შეჯამება	455
შენიშვნები.....	456

თავი 9. საგარეო პოლიტიკის პროცესი ცივი ომის შემდგომ:	
პოლიტიკა წყლის პირს მიღმა	461
შესავალი: დიპლომატია იწყება შინ	461
პრეზიდენტი, კონგრესი და ომის გამოცხადების უფლებამოსილება	462
1990-1991 წლები და სპარსეთის ყურის ომი.....	462
1990-იანების ჰუმანიტარული ინტერვენციები.....	464
2001 წლის ავღანეთის ომი.....	467
2003 წლის ერაყის ომი.....	468
2011 წელს ინტერვენცია ლიბიაში.....	470
კონტრტერორიზმი და უპილოტო საფრენი აპარატები.....	472
საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლებამოსილების რეფორმა.....	472
ბოლო პერიოდის პრეზიდენტები,	
როგორც საგარეო პოლიტიკური ლიდერები	473
ჯორჯ ბუში უფროსი.....	474
ბილ კლინტონი.....	474
ჯორჯ ბუში უმცროსი.....	475
ბარაკ ობამა.....	476
პოლიტიკური პროცესი აღმასრულებელ შტოში	477
საგარეო პოლიტიკის გუნდები და ბიუროკრატიული პოლიტიკა.....	477
უშიშროების სამსახურები.....	482
ინტერესთა ჯგუფები	483
სამხედრო-სამრეწველო-კონტრტერორიზმ-კერძო	
კონტრაქტორების კომპლექსი.....	484
ისრაელის ლობი და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა.....	486
არასამთავრობო ორგანიზაციები და გლობალიზაციის პოლიტიკა.....	487
მედია: ახალი და ძველი	488
ძველი მედიის გამოწვევები: ინტერნეტი, გასართობი ინფორმაცია	
და პოლარიზებული ახალი ამბები.....	488
კონი 2012: ვირუსული სოციალური მედიის შემთხვევა.....	491
სამხედრო ინტერვენცია და „სი-ენ-ენ-ის მრუდი“.....	492
საზოგადოებრივი აზრი: განგრძობადობა, ცვლილება და გაურკვევლობა	493
ზოგადი მოდელი.....	493
საზოგადოებრივი აზრი ვაეროს შესახებ.....	495
სამხედრო ძალის გამოყენება.....	497
პატრიოტიზმი II სექტემბრის შემდეგ.....	498
შეჯამება: ცვლილებები და განგრძობადობა	
საგარეო პოლიტიკის პროცესში	499
შენიშვნები	500
თავი 10. აზიის სტრატეგიული აღზევება: ურთიერთობები ჩინეთთან	
და აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონთან	505
შესავალი: ჩინეთი, აზია და „ოთხეული“	
(ძალა, მშვიდობა, კეთილდღეობა, პრინციპები)	505

ჩინეთი: თანამშრომლობა, კონკურენცია, კონფრონტაცია?	507
გლობალური პოლიტიკა.....	508
ტაივანი.....	512
ჩინეთის სამხედრო ძალა.....	513
აღმოსავლეთ აზიის-წყნარი ოკეანეთის რეგიონული უსაფრთხოება.....	515
ჩრდილოეთ კორეა.....	517
დაცვის ვალდებულება და ინტერვენცია-სუვერენიტეტის საკითხი.....	517
აშშ-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობები.....	518
დემოკრატიზაცია, ადამიანის უფლებები და ჩინეთის პოლიტიკური სტაბილურობა.....	520
იაპონია: ტრანზიციაში მყოფი ალიანსი	524
სავაჭრო საკითხები.....	524
ურთიერთობები უსაფრთხოების სფეროში.....	524
იაპონიის საშინაო პოლიტიკა.....	527
ორი კორეა	528
ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღი.....	530
აზიის რეგიონული ორგანიზაციები	532
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ასეანი) და აღმოსავლეთ აზიის სამიტი.....	532
შანგრი-ლას დიალოგი.....	533
აზია-წყნარი ოკეანეთის ეკონომიკური თანამშრომლობა (APEC).....	533
ინდოეთი: ურთიერთობები ახალ გლობალურ ძალასთან	534
ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი.....	534
ინდოეთი, როგორც მომავალი გლობალური ძალა.....	536
ინდოეთის დემოკრატია.....	538
საგარეო პოლიტიკის პროცესის შემთხვევის ანალიზი: შიდა პოლიტიკის გავლენა აშშ-ს ჩინეთთან მიმართებით გატარებულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე	538
შეჯამება	546
შენიშვნები	546
თავი 11. ომი, მშვიდობა, ტერორიზმი, დემოკრატია: ახლო აღმოსავლეთის ძველი და ახალი გამოწვევები	551
შესავალი: იმედებიდან ტრაგედიაში, 13 სექტემბრიდან 11 სექტემბრამდე	551
სპარსეთის ყურის ომი, 1990-91	553
11 სექტემბერი და მისი გავლენა	555
ავღანეთი და პაკისტანი.....	557
გლობალური კონტრტერორიზმი.....	562
ერაყის ომი	566
ომის დაწყების საფუძვლები: ვალიდურობა.....	567
შედეგები: მშვიდობის დამყარება?.....	573
შედეგები: ერაყი და „ოთხეული“ (ძალა, მშვიდობა, კეთილდღეობა, პრინციპები).....	579

ირანი.....	584
არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი	587
„არაბული გაზაფხული“: ძალა და პრინციპები	593
საგარეო პოლიტიკის პროცესი: კონტრტერორიზმი და დებატები ეროვნულ უსაფრთხოებასა და სამოქალაქო თავისუფლებებთან დაკავშირებით	597
ეროვნული უსაფრთხოება: უფლებათა ბილი და ტერორიზმის წინააღმდეგ ომი	598
შეჯამება	607
შენიშვნები.....	608
თავი 12. ძველი მემორბრები, ძველი მბარი: ურთიერთობები ევროპასა და რუსეთთან 21-ე საუკუნეში	614
შესავალი: ცვლილებები აშშ-ს ურთიერთობებში ევროპასა და რუსეთთან ცივი ომის შემდგომ პერიოდში	614
ატლანტიკური ალიანსი ცივი ომის შემდგომ ეპოქაში	616
1990-იანი წლების ბალკანური ომები	616
ერაყის ომი და აშშ-ევროპის ურთიერთობები	621
ნატოს მომავალი	624
ევროკავშირი, ევროს კრიზისი და აშშ-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები	631
თურქეთი	634
რუსეთი: მეგობარი, კონკურენტი თუ მოწინააღმდეგე?	635
რუსეთი, როგორც მეგობარი	636
რუსეთი, როგორც გეოპოლიტიკური კონკურენტი.....	638
რუსეთი, როგორც მოწინააღმდეგე	646
ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო).....	649
საგარეო პოლიტიკის პროცესი: ბირთვული შეიარაღების კონტროლის საშინაო პოლიტიკა აშშ-ში.....	651
SALT I-ისა და SALT II-ის პოლიტიკა.....	651
START-თან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესი 1990-იან და 2000-იან წლებში	655
შეჯამება	657
შენიშვნები.....	657
თავი 13. ამერიკა: ურთიერთობები ლათინურ ამერიკასა და კანადასთან.....	661
შესავალი: „ოთხეულთან“ დაკავშირებული დაძაბულობა	661
ისტორიული მემკვიდრეობა	663
ცივი ომის შემდგომი ეპოქა: რეგიონული ჰეგემონიის დასუსტება	665
დემოკრატიის ხელშეწყობა: მასშტაბები და შეზღუდვები	668
ნარკომები	671

მექსიკა.....	674
კუბა.....	676
ჰაიტი.....	680
კანადა.....	683
საგარეო პოლიტიკის პროცესის შემთხვევის ანალიზი: იმიგრაციის რეფორმა.....	684
შეჯამება.....	690
შენიშვნები.....	690
თავი 14. აფრიკა: უსვლელი ძველი საკითხები და გადაუდებელი ახალი თემები.....	693
შესავალი: მეტი ყურადღება აფრიკისკენ?.....	693
ისტორიული კონტექსტი.....	695
გენოციდი, ეთნიკური კონფლიქტები, სამოქალაქო ომები.....	699
<i>სომალი</i>	699
<i>რუანდა</i>	701
<i>სუდანი: დარფური და სამხრეთი სუდანი</i>	705
აფრიკის როლი აშშ-ს კონტრტერორისტულ სტრატეგიაში.....	709
ჩინეთის გავლენა აფრიკაში: საფრთხე აშშ-ს გეოპოლიტიკური ინტერესებისათვის?.....	711
დემოკრატია და კარგი მმართველობა.....	713
ვაჭრობა, განვითარება და შიდა/იმუნოდეფიციტის ვირუსი.....	716
საგარეო პოლიტიკის პროცესი: ანტიაპართეიდული ეკონომიკური სანქციები.....	719
შეჯამება.....	723
შენიშვნები.....	723
საკითხავი მეორე ნაწილისათვის ამერიკის საგარეო პოლიტიკა 21-ე საუკუნეში: არჩევანი და გამოწვევები.....	727
7.1 რობერტ ჯ. ლიბერი. ამერიკის პირველობა. ანტიდღალმელობა.....	728
7.2 ჯონ იკენბერი. ლიბერალური ინტერნაციონალიზმი. <i>ლიბერალური ინტერნაციონალიზმი</i>	731
7.3 ჩარლზ კუპჩანი. მულტიპოლარულობა. არავის მსოფლიო.....	735
8.1 ჯოზეფ სტიგლიცი. გლობალიზაცია. როგორ ვამუშაოთ გლობალიზაცია.....	738
8.2 გლობალური ჯანდაცვა. UNAIDS-ის მოხსენება შიდსის <i>გლობალურ ეპიდემიაზე</i>	741
8.3 აშშ კვლევის ეროვნული საბჭო. გლობალური კლიმატის ცვლილება. <i>კლიმატის ცვლილება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების საკითხი</i>	744

8.4 ედვარდ დ. მანსფილდი და ჯეკ სნაიდერი. დემოკრატიული მშვიდობა? <i>დემოკრატიზაცია და ომის საფრთხე</i>	746
9.1 ომის გამოცხადების უფლებამოსილების ეროვნული კომისია. შიდა ინსტიტუტები და საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლებამოსილება. <i>პრეზიდენტი, კონგრესი და საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლებამოსილება</i>	755
9.2 მარგარეტ ი. კეკი და კატრინ სიკინკი. არასამთავრობო ორგანიზაციები. <i>ტრანსნაციონალური ქსელები საერთაშორისო პოლიტიკაში: შესავალი</i>	760
9.3 მეთიუ ბაუმი. მედია, საზოგადოებრივი აზრი და საგარეო პოლიტიკა. <i>გასართობი ინფორმაცია და საგარეო პოლიტიკა</i>	772
10.1 კენეთ ლიბერთალი და ვან ძისი. აშშ-ჩინეთის ურთიერთობები. <i>აშშ-ჩინეთის სტრატეგიული უნდობლობა</i>	777
10.2 ინდოეთის თავდაცვის კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტი. <i>აშშ-ინდოეთის ურთიერთობები. ინდოეთის დიდი სტრატეგია</i>	782
11.1 ჯორჯ ბუში უმცროსი. ბუშის წინსწრების დოქტრინა. <i>წინსწრება და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია</i>	787
11.2 დან კოლდუელი. ავღანეთისა და ერაყის ომების გაკვეთილები და მემკვიდრეობა. <i>აშშ-ს პოლიტიკა ავღანეთის, პაკისტანისა და ერაყის მიმართ</i>	790
11.3 მარკ ლინჩი. არაბული გაზაფხულის გამოწვევები. <i>არაბული გაზაფხულის დიდი მოლოდინი</i>	794
12.1 ჯოვანი გრევი. ევროკავშირი. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განახლება.....	798
12.2 ევგენი პრიმაკოვი. აშშ-რუსეთის ურთიერთობები. <i>რუსეთი პოლიცენტრულ მსოფლიოში</i>	802
13.1 ჯულია სვაიგი. აშშ-ლათინოამერიკული ურთიერთობები. <i>აშშ-ლათინური ამერიკის ურთიერთობები</i>	805
13.2 ხოსე რ. კარდენასი. დებატები აშშ-ს პოლიტიკაზე კუბის მიმართ (I). <i>მოერიდეთ შერიგებას</i>	808
13.3 ლარი ბირნსი და ფრედერიკ მილსი. დებატები აშშ-ს პოლიტიკაზე კუბის მიმართ (II). <i>ანაქრონისტული პოლიტიკის დასასრული</i>	810
14.1 ობამას ადმინისტრაცია. აშშ-აფრიკის ურთიერთობები. <i>აშშ-ს სტრატეგია სუბ-საჰარაული აფრიკის მიმართ</i>	813
14.2 მსოფლიო ბანკი. განვითარება აფრიკაში. აფრიკის მომავალი.....	819
კრედიტი	824
ცნებების განმარტება	827
ინდექსი	843

პირველი ქართული გამოცემა ეძღვნება
პროფესორ ალექსანდრე რონდელის ნათელ ხსოვნას

ნაწილი

I
აშშ-ს საგარეო
პოლიტიკის კონტექსტი:
თეორია და ისტორია

თავი I

სტრატეგიული კონცეფტები: საგარეო პოლიტიკის სტრატეგია და არჩევნის არსი

შესავალი: საგარეო პოლიტიკა ტრანზიციის დროს

1962 წლის 22 ოქტომბერი იყო, საღამოს შვიდი საათი. პატარა ბიჭუნა თავისი სახლის სასტუმრო ოთახში იატაკზე იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. ტელევიზიით პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი გამოდიოდა და ამერიკის საზოგადოებას საბჭოთა კავშირთან ავბედითი კრიზისის შესახებ უამბობდა, რომელიც კუბაზე ბირთვული რაკეტების განლაგებით იყო გამოწვეული. ბიჭუნას მშობლები სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდნენ, მაგრამ მათ თვალებში ჩაბუდებული შიშის შენიღბვა შეუძლებელი იყო. აშშ ბირთვული ომის ზღვარზე იმყოფებოდა.

კარიზის ზღვის კრიზისი მშვიდობიანად დასრულდა და საბოლოოდ, ცივი ომიც ბირთვული ომის გარეშე დამთავრდა. გარკვეული დროის განმავლობაში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ცივი ომის შემდგომი ეპოქა მშვიდობიანი უნდა ყოფილიყო. მართლაც, როცა 1989 წელს ბერლინის კედელი დაინგრა და შემდეგ, 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა, მთელ მსოფლიოს ეიფორიის მსგავსი გრძობა დაეუფლა. პრეზიდენტმა ბუშმა (1989-1993) ცივი ომის დასასრულს „დიდი იმედების დრო“ უწოდა, „უმაგალითო შესაძლებლობა ... ვიმუშაოთ ახალი სამყაროს ახალ მსოფლიო წესრიგად გარდასაქმნელად, რომელიც შედგება დემოკრატიული, შემწყნარებელი და ეკონომიკურად თავისუფალი მთავრობებისაგან, რომლებიც მზად არიან გადაჭრან განსხვავებები მშვიდობიანი გზით, დამუქრების ან ძალის გამოყენების გარეშე“¹

ცხადია, არ უნდა დავაკნინოთ იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ ოჯახები ყოვლის-მომცველი ბირთვული ომის შიშისგან გათავისუფლდნენ. ამ კუთხით, ცივი ომის დასრულების შემდეგ, მსოფლიო უფრო უსაფრთხო გახდა. ამასთან, ძალიან მალე დაინახეთ, რომ ცივი ომის დასრულება არ ნიშნავს ზოგადად ომების დასრულებას. 1990-იან წლებს ნამდვილად მოიგონებენ, როგორც სამშვიდობო შეთანხმებებისა და დემოკრატიზაციის ხანას, მაგრამ ასევე ეთნიკური წმენდის, სამოქალაქო ომების, გენოციდის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის ახალი

გაუარესების ეპოქას. ეს იყო მშვიდობისა და წესრიგისკენ გარღვევის ათწლეული, მაგრამ მას ანარქია და ქაოსიც ახლდა თან. ამერიკის საგარეო პოლიტიკისთვის ეს იყო დიდი გამარჯვებების, მაგრამ ასევე სამწუხარო წარუმატებლობების ათწლეული.

1990-იან წლებში „გლობალიზაციის“ დღის წესრიგის ფორმირების მოწმენიც გავხდით. გლობალიზაციას ბევრი მიესალმება ისეთი დამსახურებების გამო, როგორცაა კაპიტალიზმისა და ეკონომიკური თავისუფლების ყოფილი კომუნისტური ბლოკის და მესამე სამყაროს ქვეყნებში გავრცელება, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ბაზრების წყალობით მსოფლიოს სხვადასხვა წერტილის ერთმანეთთან დაკავშირება და გლობალური კეთილდღეობისთვის საფუძვლების შექმნა. პრეზიდენტი კლინტონი საუბრობდა „გლობალიზაციის მატარებელზე“, რომლის „მიმართულების შეცვლა შეუძლებელია“ და რომელიც „ასობით მილიონ ადამიანს გამოიყვანს სიღარიბიდან“ ამასთან, იგი ასევე გვაფრთხილებდა, რომ გლობალიზაციას „უფრო ადამიანური სახე“ სჭირდებოდა. საჭირო იყო, ყურადღება მიქცეოდა ისეთ პრობლემებს, როგორცაა: გლობალური გარემოს დაცვა, შიდასი გლობალური კრიზისი და მზარდი უფსკრული მდიდარ და ღარიბ ერებს შორის.² მართლაც, 1990-იან წლებში წარმოიშვა ძლიერი ანტიგლობალისტური მოძრაობა. პირველად სიეტლში, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამიტის დროს და შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ საერთაშორისო ეკონომიკურ შეხვედრებზე. ამ მოძრაობამ გააჩაღა ყველაზე ფართომასშტაბიანი და ძალადობრივი საერთაშორისო საპროტესტო მოძრაობა, 1960-1970-იანი წლების ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის შემდეგ. ამდენად, გლობალიზაციის დღის წესრიგისთვისაც 1990-იანი წლები ცალსახა შედეგებით არ დასრულებულა.

შემდეგ 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული და შემზარავი ტერაქტი მოხდა. „თავდასხმა აშშ-ზე“ – დიდი ასოებით ეწერა მეორე დღეს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სატიტულო გვერდზე, სწორედ ისე, როგორც ეს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას შეეფერება. გაზეთი აღწერდა „ფერფლის, გაზების, კვამლისა და შენობიდან გადმომხტარ მსხვერპლთა ჯოჯოხეთურ შტორმს“, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჟენების ჩამონგრევას მოჰყვა თან.³ კიდევ ერთმა გატაცებულმა თვითმფრინავმა თითქმის შუაზე გადახლიჩა დედაქალაქ ვაშინგტონში განლაგებული ამერიკული თავდაცვის ციხე-ბურჯი – პენტაგონის შენობა. მსხვერპლის რაოდენობა იზრდებოდა. შოკი ძალიან ღრმა იყო. დაუცველობის ახალმა განცდამ მოიკიდა ფეხი, მით უფრო, რომ მალევე გამოჩნდა – ეს არ იყო იზოლირებული მოვლენები. პრეზიდენტმა ბუშმა უმცროსმა გამოაცხადა „ტერორიზმის წინააღმდეგ ომი“, რომელიც ავღანეთში, ოსამა ბინ ლადენის, ალ-ქაიდას ტერორისტული ქსელისა და თალიბანის რეჟიმის გასანადგურებლად 2001 წლის ოქტომბერში დაიწყო. თუმცა, ომი იქ არ დასრულებულა. „იგი არ დასრულდება მანამ, სანამ საერთაშორისო მასშტაბით მოქმედ ყველა ტერორისტულ ჯგუფს არ ვიპოვით, გავაჩერებთ და დავამარცხებთ“, – თქვა ბუშმა.⁴ ამ ამბებიდან ორ წელზე ნაკლებ ხანში, ტერორიზმთან ომის გადამწყვეტი ფრონტის საბაბით, აშშ-ს ადმინისტრაციამ ამერიკა ვრაცის ომში ჩართო.

ერაყის ომი, 1960-1970-იანი წლების ვიეტნამის ომის შემდეგ, ყველაზე წინააღმდეგობრივ საგარეო პოლიტიკურ საკითხად იქცა აშშ-ში. ომმა, ისევე, როგორც დიდი დეპრესიის დროიდან ყველაზე ძლიერმა, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის ეკონომიკურმა კრიზისმა, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვებასაც შეუწყო ხელი. საპრეზიდენტო კამპანიის დროს ობამამ გააცნობიერა ამერიკის საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი ორივე საფრთხე და დაინახა წინსვლის შესაძლებლობებიც. მისი თქმით, „ამ საუკუნის საფრთხეები წარსულის საფრთხეებს არ ჩამოუვარდება, ხოლო გარკვეული სახით უფრო კომპლექსურიცაა.“ ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღი, უფრო მეტი ომი ახლო აღმოსავლეთში, მეტი გენოციდი და სხვა სისხლიანი კონფლიქტები, კლიმატის ცვლილება, გლობალური პანდემიები, გლობალური რეცესია, მზარდი ზესახელმწიფოები ჩინეთის სახით, ძალამოკრებილი ზესახელმწიფოები რუსეთის სახით – ეს გამოწვევები ქმნიან რთულ და კომპლექსურ დღის წესრიგს. ამასთანავე, ყოველივე ამის გააზრება არ იძლევა საფუძველს, რომ „პესიმიზმს მივეცეთ. ის უფრო მოქმედებისკენ მოგვიწოდებს ... ლიდერობის ახალი ხედვისკენ, რომელიც 21-ე საუკუნეს სჭირდება და რომელიც მიმართულია „კაცობრიობის საერთო უსაფრთხოებისაკენ“.⁵

თითოეული ეს გამოწვევა, ასევე 2011 წლის „არაბული გაზაფხულითა“ და სხვა მოვლენებით განპირობებული ახალი გამოწვევები, ცალკე აღებულიც კი ძალიან ღრმა და სერიოზულია. მათ კომპლექსურ გავლენასთან შეჭიდება კი 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულს მართლაც ისტორიული ტრანზიციის პერიოდად აქცევს.

ისევე, როგორც აშშ-ს ბოლო ოთხმა პრეზიდენტმა შესძინა ერთმანეთისაგან განსხვავებული აქცენტები ახალ ეპოქაში აშშ-ს როლს, წამყვანმა მკვლევრებმა და ანალიტიკოსებმაც ერთმანეთისგან განსხვავებული ხედვები შემოგვთავაზეს ამ ეპოქის ბუნებაზე. 1989 წელს, ჯერ კიდევ კომუნიზმზე პოლიტიკური და იდეოლოგიური გამარჯვების ტრიუმფის პირობებში, ნეოკონსერვატორი მოაზროვნე ფრენსის ფუკუიამა საუბრობდა „ისტორიის დასასრულზე ... დასავლური ტიპის ლიბერალური დემოკრატიის, როგორც მთავრობის საბოლოო ფორმის, უნივერსალიზაციაზე“.⁶ რამდენიმე წლის შემდეგ, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, სემუელ ჰანტიგტონმა შემოგვთავაზა „ცივილიზაციათა შეჯახების“ ნაკლებად ოპტიმისტური სურათი, ძირითადად დასავლურ და ისლამურ სამყაროებს შორის, რომელსაც პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტები უნდა ხლებოდა თან.⁷ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მესვეტე თომას ფრიდმანმა წამყვანი მნიშვნელობა უფრო ეკონომიკას მიანიჭა – ლიბერალიზმს, ცივილიზაციათა შეჯახებას და ძალთა პოლიტიკას მან „ძველი სისტემა“ უწოდა, ხოლო გლობალიზაციას – „ახალი სისტემა“.⁸ ნეოკონსერვატორებმა გამოაცხადეს – ჩარლზ კრაუტჰამერის ხშირად ციტირებული ფრაზა რომ ვიხმართ – „უნიპოლარული მომენტი“; როცა ერთადერთი დომინანტი ძალა არის აშშ და მსგავსი რამ ანტიკური რომის შემდეგ არც ყოფილა.⁹ ძმები როკველერების ფონდის გამოცემაში ხაზგასმულია „არასამხედრო სახის საფრთხეების“; განსაკუთრებით გლობალური სიღარიბისა და გარემოს განადგურების მნიშვნელობა და საუბარია „საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის“ აუცილებლო-

ბაზე, რათა არ მოხდეს მათი „უფრო დიდ საფრთხეებად გარდაქმნა.“¹⁰ მკვლევარი და ჟურნალისტი ფარიდ ზაქარია წერდა „ პოსტამერიკულ სამყაროზე და დიდ ტრანსფორმაციაზე, რომელიც მსოფლიოში ხდება... [იგი] ქმნის საერთაშორისო სისტემას, რომელშიც მსოფლიოს ყველა კუთხის ქვეყანა არა ობიექტი და უბრალო დამკვირვებელი, არამედ სრულუფლებიანი აქტორია. ეს არის ნამდვილად გლობალური წესრიგის დაბადება.“¹¹ ჩარლზ კუპჩანი მას „არავის სამყაროს“ უწოდებდა, სადაც უპრეცედენტო პოლიტიკური და იდეოლოგიური სიჭრელის პირობებში, არ არსებობს დომინანტი ქვეყანა.¹² ჩემს ნაშრომებში მე გამოვიყენე მეტაფორა ასტრონომიიდან პტოლემეოსის სამყაროს კოპერნიკისეულ სამყაროდ ტრანზიციის შესახებ. პირველ შემთხვევაში, ცენტრშია აშშ და დანარჩენები მის ირგვლივ ბრუნავენ, ხოლო მეორეში – სამყაროს ცენტრში გლობალური მმართველობის შექმნის მცდელობის პარალელურად, 21-ე საუკუნის ნაციონალიზმი ცალკეულ ქვეყნებს საკუთარ ორბიტებს უქმნის.¹³

აღნიშნულ ხედვებს შორის განსხვავებების მიუხედავად, ყველა აღიარებს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობას. დროდადრო ისევ გვეხვები ხმები, რომ აშშ-ს შეუძლია და აუცილებელიცაა, უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს საშინაო საქმეებს. მას აქვს ფუფუნება, ნაკლებად აღარდებდეს და ნაკლებიც მოიმოქმედოს დანარჩენი მსოფლიოსთვის. თუმცა, ხუთი ფუნდამენტური მიზეზი არსებობს იმისთვის, რომ საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობა არ დავაყენოთ.

პირველი: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები. 11-მა სექტემბერმა დრამატულად ხელშესახები გახადა ეს საფრთხეები. ისინი აღარაა „სადღაც შორს“, მსოფლიოს მოშორებულ კუთხეებში, არამედ უკვე აქაა – სახლში. ეს არ ენება მხოლოდ ტერორიზმს. მართალია, ცივი ომის შემდეგ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ თანამშრომლობა გარანტირებული მაინც არაა, მით უფრო, თუ სხვადასხვა საკითხზე ჯერაც არსებულ განსხვავებებს და რუსეთსა და ჩინეთში არსებულ შიდა პოლიტიკურ არასტაბილურობას გავითვალისწინებთ. ახლო აღმოსავლეთში ისევ ხდება ომები და სტაბილურობა კვლავაც ძალიან მყიფეა ბევრ ისეთ რეგიონში, როგორიცაა: სამხრეთი აზია (ინდოეთი, პაკისტანი) და აღმოსავლეთი აზია (ორი კორეა, ჩინეთი, ტაივანი). მასობრივი განადგურების იარაღი ხან ერთ და ხან მეორე რეგიონში ვრცელდება და სრულიად შესაძლებელია, ტერორისტების ხელში აღმოჩნდეს. აშშ დგას ახალი სახის საფრთხეების წინაშეც, როგორიცაა: მრავალმილიონიანი ფატალურობის პოტენციალის მქონე ფრინველის გრიპი და სხვა „მასობრივი განადგურების დაავადებები“. ძალიან საშიში გახდა კიბერსაფრთხეები, არა მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაზე გავლენის მოხდენის აქამდე უპრეცედენტო პოტენციალით.

მეორე: ამერიკის ეკონომიკა დღეს ისეა ინტერნაციონალიზებული, როგორც არასდროს. თუ 1960 წელს საგარეო ვაჭრობა აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტზე ნაკლებს შეადგენდა, დღეს ეს მაჩვენებელი თითქმის 30 პროცენტია. ამერიკელი მუშახელის დასაქმების ადგილები სულ უფრო დამოკიდებული ხდება, როგორც იმპორტით განპირობებულ კონკურენციაზე, ისე ექსპორტით შექმნილ

შესაძლებლობებზე. ფედერალური რეზერვის მმართველ საბჭოს, საპროცენტო განაკვეთის დადგენისას, შიდა ფაქტორების გარდა – როგორცაა ინფლაცია – სულ უფრო მეტად უწევს საგარეო ფაქტორების – ვალუტის გაცვლითი კურსების და უცხოელი ინვესტორების მოსალოდნელი რეაქციის გათვალისწინება. კერძო საფინანსო ბაზრებიც სულ უფრო გლობალური გახდა. 1997 წლის აზიის საფონდო ბაზრებისა და შემდეგ, 1998 წლის რუსეთის ეკონომიკის კრახის შედეგები საშუალო ფენის ამერიკელებმა საკუთარ თავზე იგრძნეს, როცა მათი ფონდები და დანაზოგები გაუფასურდა. ასევე, როცა 2008 წლის ბოლოს აშშ-ს საფინანსო ბაზრებზე დაიწყო კრიზისი, უარყოფითი შედეგები მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

მესამე: საჯარო პოლიტიკის ბევრი სფერო, რაც ადრე „შიდა საქმედ“ იყო მიჩნეული, დღეს ინტერნაციონალიზებულია. გარემოს დაცვის დღის წესრიგი 1960-1970-იანი წლების შიდა პრობლემებიდან დღეს ისეთ გლობალურ პრობლემებზე გადაერთო, როგორცაა გლობალური დათბობა და ბიომრავალფეროვნება. 1980-იანი წლების ანტინარკოტიკული პოლიტიკა „უბრალოდ თქვი არა“ ვეღარ იმუშავებს იმ პირობებში, როცა ყოველდღიურად ათასობით ტონა ნარკოტიკი შედის აშშ-ში ლათინური ამერიკიდან, აზიიდან და მსოფლიოს სხვა წერტილებიდან. გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ შედგენილი სია – „ათი ყველაზე საშიში ძებნილი“, 1950-იან წლებში ძირითადად ამერიკაში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფებების წარმომადგენლებისგან შედგებოდა, როცა სია პირველად გამოქვეყნდა, 1997 წელს კი ათიდან რვა ძებნილი საერთაშორისო კრიმინალი იყო (და ეს ყველაფერი 2001 წლის 11 სექტემბრამდე, ვიდრე ოსამა ბინ ლადენი და სხვა ტერორისტები სიის სათავეში მოექცეოდნენ). ასევე გლობალურ მიდგომას საჭიროებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ისეთი პრობლემა, როგორცაა შიდსი. 2007-2008 წლებში ძირითადად ჩინური წარმოების საბავშვო სათამაშოებთან, შინაური ცხოველების საკვებთან და რეცეპტით გასაცემ წამლებთან დაკავშირებული პრობლემები გვიჩვენებს, რომ პროდუქტების უვნებლობა შეუძლებელია მხოლოდ ან თუნდაც უპირატესად შიდა რეგულირების საკითხად დარჩეს. ამ და უამრავ სხვა სექტორში შიდა და საგარეო პოლიტიკის გამიჯვნა სულ უფრო ბუნდოვანი გახდა, რადგან ამერიკელთა ცხოვრების იმ სფეროებზე, ადრე შიდა პოლიტიკას რომ მიაკუთვნებდნენ, დღეს საერთაშორისო ძალები ახდენს გავლენას.

მეოთხე: ამერიკელი ხალხი რასობრივად და ეთნიკურად სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება და სულ უფრო მეტ ადამიანსა და ადამიანთა ჯგუფს უჩნდება პირადი ინტერესი საგარეო პოლიტიკაში. იდენტობით განპირობებული საგარეო პოლიტიკის გარკვეულ შემთხვევებს მე-19 საუკუნეშიც კი ვაწყდებით და იგი საკმაოდ გავრცელებული იყო ცივი ომის დროს. თუმცა დღეს სულ უფრო მეტი ამერიკელი უკავშირებს საკუთარ წინაპრებს და მემკვიდრეობას ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებს, აფიქსირებს თავის ინტერესს და ცდილობს, გავლენა მოახდინოს ამ ქვეყნებისა და რეგიონების მიმართ ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე.

მეხუთე: აშშ-ს ძალიან გაუჭირდება დაიცვას თავისი ყველაზე ფუძემდებლური ღირებულებები, თუ ყურადღებას არ მიაქცევს ამ ღირებულებების მიძიმე ხელყოფის ფაქტებს თავის საზღვრებს მიღმა. ამისთვის მსოფლიო მისიონერის ან მსოფლიო

პოლიციელის როლის მორგება საჭირო არაა. თუმცა ასევე, შეუძლებელია, რომ სახელმწიფო მხარს უჭერდეს დემოკრატიათა, თავისუფლებათა და სამართლიანობას, მაგრამ გენოციდის, დევნის, წამებისა და სხვა საშინელ ფაქტებზე ამბობდეს: – „ეს ჩემი საქმე არ არის“.

საგარეო პოლიტიკა გავლენას ახდენს ამერიკელებზე, როგორც ცალკეულ ინდივიდებზე, ისე მთლიანად ერზე. არჩევანი, რომელიც ამ პოლიტიკას აქვს, სულ ცოტა, ისევე მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნისათვის, როგორც ცივი ომისა და ბირთვული ხანის არჩევანი იყო მე-20 საუკუნისათვის.

წიგნს აქვს ორი პრინციპული ამოცანა: 1) მოგვცეს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და აშშ-ს დიპლომატიის ისტორიაზე დაფუძნებული ჩარჩო საგარეო პოლიტიკის ანალიზისთვის; 2) მიუსადაგოს ეს ჩარჩო აშშ-ს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგს ცივი ომის შემდგომ ხანაში.

ანალიტიკური ჩარჩო, როგორც წიგნის სათაურშია მითითებული, არის *არჩევნის დინამიკა*. ის სტრუქტურირებულია ფუნდამენტური კითხვების ორი ჯგუფის გარშემო, რომლებიც მუდმივად დისკუსიის ცენტრშია, დამოუკიდებლად იმისგან, თუ კონკრეტულად საგარეო პოლიტიკის რომელი თემა ან რა დროითი ჩარჩო განიხილება მოცემულ დისკუსიაში. ესენია:

- საგარეო პოლიტიკის სტრატეგიასთან დაკავშირებული კითხვები – რა არის ეროვნული ინტერესები და რომელია მათი განხორციელების ყველაზე კარგი გზა?
- საგარეო პოლიტიკის პროცესთან დაკავშირებული კითხვები – რა როლი აქვს ამერიკის პოლიტიკური სისტემის ცალკეულ ინსტიტუტებსა და აქტორებს და როგორია მათი გავლენა?

საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ფორმულირება არის *არჩევნის არსი*, ანუ მიზნების განსაზღვრა და მათ მისაღწევად საჭირო პოლიტიკის შემუშავება. საგარეო პოლიტიკის პროცესი არის *არჩევნის პროცესი*, ანუ საგარეო პოლიტიკის ფორმირება პოლიტიკური ინსტიტუტების მეშვეობით და ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში მოქმედი საზოგადოებრივი გავლენების პირობებში.

წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება თეორიას (ამ თავში და მე-2 და მე-3 თავებში) და ისტორიას (მე-4, მე-5 და მე-6 თავები), რომლებიც მნიშვნელოვანია აშშ-ს საგარეო პოლიტიკის არჩევნის დინამიკის ანალიტიკური ჩარჩოს დასადგენად. წიგნის მეორე ნაწილი ამ ჩარჩოს უკვე იმ არჩევნის გასაანალიზებლად იყენებს, რომლის წინაშეც აშშ-ს საგარეო პოლიტიკა 21-ე საუკუნეში დგას.

საერთაშორისო სისტემის კონტექსტი

ამერიკის შეერთებული შტატების, ისევე როგორც სხვა ქვეყნების, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული არჩევანის კონტექსტს საერთაშორისო სისტემა განსაზღვრავს. მართალია, საერთაშორისო სისტემების კვლევა უფრო საერთაშორისო ურთიერთობების სახელმძღვანელოების სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ორი ასპექტი მაინც მნიშვნელოვანია ამერიკის საგარეო პოლიტიკის ანალიზისთვის.

კვაზი ანარქია

საერთაშორისო და შიდა პოლიტიკურ სისტემებს შორის ყველაზე ფუნდამენტური განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს ლეგიტიმური ცენტრალური ხელისუფლება. ამას ხშირად საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულ ხედვას უწოდებენ. მისი ფესვები უნდა ვეძებოთ მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსის, თომას ჰობსის კლასიკურ ნაშრომში, „ლევიათანი“. ჰობსი საერთაშორისო საქმეებს უწოდებდა „ყველას ომს ყველას წინაღმდეგ“. ჰობსის მიხედვით, საშინაო საქმეებისგან განსხვავებით, სადაც წესრიგს მეფე ან სხვა ლეგიტიმური მმართველი უზრუნველყოფდა, საერთაშორისო სფეროში მსგავსი ლეგიტიმური ხელისუფალი არ არსებობდა. სხვა მოაზროვნეებს უფრო ზომიერი შეხედულება ჰქონდათ. ისინი მიუთითებდნენ, რომ საერთაშორისო ნორმები, სამართალი და ინსტიტუტები მაინც ქმნის გარკვეულ წესრიგსა და ხელისუფლებას და ხაზს უსვამდნენ ამ გზაზე კიდევ უფრო მეტი პროგრესის შესაძლებლობას. მართალია, დღეს ჩვენ დავშორდით „მწარე, ცხოველურ“ პირველყოფილ ჰობსიანურ სამყაროს და შევქმენით ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა გაერო და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე განვითარდა საერთაშორისო სამართალი, მაგრამ საერთაშორისო დონეზე დღესაც არ არსებობს ისეთი ძლევამოსილი და ავტორიტეტული რამ, როგორცაა კონსტიტუცია, საკანონმდებლო ხელისუფლება, პრეზიდენტი ან უზენაესი სასამართლო. ამდენად, გაბატონებული მოსაზრებაა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებს „სახელმწიფოს შიგნით არსებული ურთიერთობებისგან უნიკალურად და არსებითად განსხვავებულად“ აქცევს ის ფაქტი, რომ „არ არსებობს საბოლოო ხელისუფლება, რომელიც მართავს საერთაშორისო სისტემას ... შედეგად, „კვაზი ანარქია“ საერთაშორისო დონეზე განსაზღვრავს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს.“¹⁴

სისტემის სტრუქტურა

სისტემის სტრუქტურა დამოკიდებულია საერთაშორისო სისტემის ძირითად სახელმწიფოებს შორის ძალის განაწილებაზე. „პოლუსი“ აჩვენებს, თუ რამდენი ძირითადი სახელმწიფოა სისტემაში – ორი სახელმწიფოა **ბიპოლარულ** სისტემაში, როგორც ცივი ომის დროს, როცა აშშ და საბჭოთა კავშირი ორადორი ძირითადი სახელმწიფო იყო; სამი ან მეტია **მულტიპოლარულ** სისტემაში, როგორც ეს მეცხრამეტე საუკუნეში იყო, როცა ევროპის ძირითადი სახელმწიფოები: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია და რუსეთი იყო.

სტრუქტურისგან დამოუკიდებლად, სისტემაში სახელმწიფოს რანგი გავლენას ახდენს მის საგარეო-პოლიტიკურ შესაძლებლობებზე. ისეთი თეორეტიკოსები, როგორებიცაა არიან კენეტ უოლცი, სისტემას დეტერმინისტულად უდგებიან და ის, მათი აზრით, სახელმწიფოების „ქცევასა და მათი ქცევის შედეგებს განჭვრეტადს ხდის.“¹⁵ ამდენად, თუ ვიცით სახელმწიფოს სტრუქტურული პოზიცია, გვეცოდინება მისი საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. ამგვარი მსჯელობა – თუ რა არის დადგენილი და წინასწარ განსაზღვრული სისტემურ დონეზე – ძალიან შორს წაგვიყვანს

და ძალიან ხისტი იქნება. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ცივი ომი თითქმის ორ-მოცდაათი წელი გაგრძელდა და მშვიდობიანად დასრულდა. უოლცი ირწმუნება, რომ ეს ადასტურებს ბიპოლარულობის სტაბილურობას და დაშინების პოლიტიკის წარმატებას. ამავდროულად, შეიძლება ვიკითხოთ, აუცილებელი იყო თუ არა, რომ ცივი ომი ორმოცდაათი წელი გაგრძელებულიყო: ხომ არ შეიძლებოდა, იგი უფრო ადრე დასრულებულიყო, რომელიმე მხარის ლიდერს სხვაგვარი პოლიტიკა რომ აერჩია? ან განვიხილოთ 1962 წლის კარიბის ზღვის კრიზისი (უფრო დეტალურად მე-5 თავში შევხებით): ბიპოლარული სისტემის სტრუქტურამ ამგვარი კრიზისის განვითარების შანსი გაზარდა, მაგრამ არც მისი წარმოქმნა და არც მისი წარმატებით დასრულება არ გაუხდია შეუქცევადი. საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის არჩევანისთვის სისტემის სტრუქტურა აუცილებლად გასათვალისწინებელია, მაგრამ როგორც კონტექსტი და არა როგორც დეტერმინანტი. ეს განსაკუთრებით შესატყვისება თანამედროვე ეპოქას, რადგან სისტემის სტრუქტურა დღეს ბევრად უფრო ბუნდოვანია, ვიდრე ცივი ომის დროს და მანამდე იყო.

სწორედ ამიტომა შეცდომაში შემყვანი ბილიარდის ბურთების მოდელი, რომელსაც სახელმწიფო-სტრუქტურალისტური ახსნის მომხრეები ხშირად იშველიებენ. მოდელის არსი ბილიარდის ბურთის მოძრაობის პროგნოზირებადობაში მდგომარეობს. თუ ვიცით ბურთს რა კუთხით, რა მანძილიდან და რა ძალით დავარტყამთ, შევძლებთ გამოვთვალოთ, მაგიდის რომელ ნაწილში მოხვდება იგი საბოლოოდ, იმის მიუხედავად, ჭრელია ბურთი თუ ფერადი. საერთაშორისო სისტემის თეორიაში „ურტყამს“ საგარეო საფრთხე, „კუთხე“ განსაზღვრულია სახელმწიფოს მდებარეობით საერთაშორისო სისტემაში და „ბილიკი“, რომელსაც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა აირჩევს, პროგნოზირებადია, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების, საშინაო პოლიტიკისა და სხვა მახასიათებლებისგან დამოუკიდებლად, ანუ იმისდა მიუხედავად, „ჭრელია“ თუ „ერთფეროვანი“ მოცემული სახელმწიფო. რეალობაში, სახელმწიფოები „შეშლილი ბურთები“ როდი არიან, რომლებსაც შინაგანი ახირება დააქროლებს აქეთ-იქით. ისინი არც მარტოოდენ რეაქციულები არიან. მათი საგარეო პოლიტიკური არჩევანი საერთაშორისო სისტემის სტრუქტურით მართლაც შეზღუდულია, მაგრამ არა წინასწარ განსაზღვრული. საშინაო პოლიტიკური პროცესი და ინსტიტუტები ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ამას მე-2 და მე-3 თავებში ვნახავთ.

პროვნილი ინტერესები: ოთხეულის ჩარჩო

ყველას გვსმენია, როგორ ქადაგებენ ეროვნული ინტერესების შესახებ და ზოგიერთს ეს თავადაც გაგვიკეთებია. აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს. არავინ უარყოფს მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში არჩევანი არსებითად ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით უნდა გაკეთდეს. თუმცა ეროვნული ინტერესების ზუსტი განსაზღვრა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება არასდროს ყოფილა ადვილი და თავისთავადი. პოლიტიკის მეცნიერები ალექსანდერ ჯორჯი და რობერტ კიოჰინი

თავიანთ სტატიაში სწორედ ამ დილემაზე ამხვილებენ ყურდღებას. მათი აზრით, პრობლემები გაჩნდა, რადგან ეროვნული ინტერესების ცნება „იმდენად ელასტიური და ბუნდოვანი გახდა, ... რომ მისი საგარეო პოლიტიკის მეგზურობის ფუნქცია პრობლემური და წინააღმდეგობრივია“ ამასთან, ავტორები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ეროვნული ინტერესების განსაზღვრა მაინც შესძლებელი და აუცილებელიც კია, რათა მოხდეს „საგარეო პოლიტიკის ნამდვილი მიზნებისა და ამოცანების უკეთ შეფასება.“¹⁶

ამ წიგნში ჩვენ ვიყენებთ მიდგომას, რომლის მიხედვით აშშ-ს ეროვნული ინტერესების განსაზღვრისთვის, ზოგადი ანალიზური თვალსაზრისით, გამოვყოფთ ოთხ ძირითად მიზანს: ძალას, მშვიდობას, კეთილდღეობას და პრინციპებს. ეს „ოთხეული“ არ წარმოადგენს ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნულ კატეგორიების, ანუ რომელიმე ერთი პოლიტიკა არ მიმდინარეობს ერთი მიზნის ფარგლებში და მეორე – მეორეში. რეალობა ასე მარტივი არაა. ეროვნული ინტერესები ყოველთვის მოიცავს ორ ან მეტ მიზანს ერთდროულად. ზოგჯერ ოთხივე მიზანი თავსებადია და ერთი კონკრეტული პოლიტიკის ფარგლებში ოთხივე შეიძლება მიიღწეს. უფრო ხშირია მათ შორის კომპრომისის საჭიროება, დაძაბულობა და ზოგჯერ დიდი უთანხმოებაც კი. „ოთხეულის“ ჩარჩო გვეხმარება, დავინახოთ კომპლექსურობა; გავანალიზოთ, როგორ ხდება პრიორიტეტების გამოყოფა; ადგილი მივუჩინოთ შესაბამის დებატებს იმაზე, თუ რა არის და რა უნდა იყოს ამერიკის საგარეო პოლიტიკა, ანუ ის, რასაც ზემოთ საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში არჩევნის არსი ვუწოდებთ.

ამგვარი ანალიტიკური ჩარჩოს ჩამოყალიბებით ჩვენ არ ვუპირისპირებთ აშშ-ს ეროვნულ ინტერესებს, საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებს. მართლაც, აშშ-ს ინტერესები სულ უფრო დაკავშირებული გახდა საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებთან. თუმცა ეს ურთიერთობები არ არის და დიდი ალბათობით არასდროს იქნება ურთიერთშესატყვისი, სადაც აშშ-ს ეროვნული ინტერესები და სხვა, საერთაშორისო ინტერესები სრულად სინქრონიზებულია ერთმანეთთან. ბევრს კამათობენ, თუ რამდენად ურთიერთდაკავშირებული გახდა ეს ინტერესები. მაგალითად, ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაცია აკრიტიკებდა კლინტონის მთავრობას, თითქოსდა ის მისდევდა საგარეო პოლიტიკას, რომელშიც „ეროვნული ინტერესი ჩანაცვლებულია საკაცობრიო ინტერესით, ანუ საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესით.“¹⁷ მეორე მხრივ კი, ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკის ძირითადი კრიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ ის ამერიკის ეროვნულ ინტერესებს უპირისპირებდა საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წევრების ინტერესებს, რაც საბოლოოდ არავის ინტერესებში არ შედიოდა. ობამას კონცეფცია „საერთო უსაფრთხოება ჩვენი საერთო კაცობრიობისთვის“ წარმოადგენდა სხვა მიდგომას, რომელიც ასევე იწვევდა დებატებს.

შემდეგში ოთხეულის თითოეულ კომპონენტს (ძალა, მშვიდობა, კეთილდღეობა და პრინციპები) განვიხილავთ სამი ძირითადი ელემენტის მიხედვით:

- ძირითადი კონცეპტუალიზაცია და სამუშაო დეფინიცია;

* ორიგინალში “4 Ps” – Power, Peace, Prosperity, Principles. რედაქტორის შენიშვნა.